დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2020 წლის 03 ნოემბრის N 82 „ო“ ბრძანებით

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 09 ნოემბრის N 85 „ო“ ბრძანებით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ -კოლეჯი „ერქვანი“-ს (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურას.

მუხლი 2. განხორციელების მექანიზმები

1. გაკვეთილის დასაწყისში მოდულის განმახორციელებელი, პროფესიულ სტუდენტებს ურატებს C გარემოში უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს ყველა თემატიკის მიხედვით.

2. მოდულის განმახორციელებლის მიერ ინსტრუქტაჟის ჩატარება დასტურდება სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერებით.

3. მოდულის განმახორციელებელის ნებართვის / ზედამხედველობის გარეშე პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ელ. ჩამრთველებთან და სხვა ხელსაწყოებთან შეხება.

4. სწავლის პროცესში თემატიკის მიხედვით გამოიყენება აღჭურვილობა.

5. საგაკვეთილო პროცესის ბოლოს მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია, შეამოწმოს და ჩაიბაროს სწავლებაში გამოყენებული ხელსაწყო / იარაღები და შეამოწმოს მათი გამორთულობა.

6. C გარემო უზრუნველყოფილია ცენტრალური დამიწების სისტემით.

მუხლი 3. გარდამავალი დებულებანი

1. კოლეჯს აქვს უფლება უსაფრთხოების დასაცავად განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.
2. აღნიშნული წესი გამოკრულია C გარემოში თვალსაჩინო ადგილზე.